დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ლოდია

წევრები:

- მარიამ იაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
- ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
- ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
- ქეთევან კიპაროიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
- ნანა ჭავჭანიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
- დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
- ნინო თედიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
- მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
- მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
- ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202887643

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, კიევის ქ. N4
საფოსტო ინდექსი	0102
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	tbilisi30@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	2 95 23 80
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599693603

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N398761 02.04.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29.04.2026 30.04.2026

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი. კიევის ქ. N4 (1 (ერთი) ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი. კიევის ქ. N4 (1 (ერთი) ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი. კიევის ქ. N4 (1 (ერთი) ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 29 და 30 აპრილს. ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, განხორციელდა მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივმა ექსპერტებმა მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☐ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 600	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	**არსებული ინფრასტრუქტურული პირობები, სკოლას არ აძლებს შესაძლელობას 600 მოსწავლისთვის ერთ ცვლაში წარმართოს სასწავლო პროცესი. 600 მოსწავლის შემთხვევაში, სასწავლო პროცესისი წარმართვა შესაძლებელია ორ ცვლაში.**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ შეიმუშაოს მკაფიო, თანმიმდევრული და მომავალზე ორიენტირებული ხედვა, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მისწრაფებებსა და სასურველ მდგომარეობას განსაზღვრული დროის შემდეგ.* ***შესრულების ვადა - 05.2027***

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ განსაზღვროს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.* ***შესრულების ვადა - 09.2026***
ინდიკატორი N3.1.1.2	*სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ განსაზღვროს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები იმგვარად, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობდეს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.* ***შესრულების ვადა - 09.2026***
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობების წარმოდგენა. (ნასამართლობის შესახებ ცნობა საჭიროა მასწავლებლებისთვის, ხოლო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).* ***შესრულების ვადა - 09.2026***
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს:* • *დასაქმებული ყველა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა (მეეზოვე, მუშა).* • *დადგენილ მოთხოვნებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურება.* ***შესრულების ვადა - 09.2026***

ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ წარმოადგინოს:* • *უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.* ***შესრულები ვადა - 04.2027*** • *უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.* ***შესრულები ვადა - 04.2027*** *შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, შეასრულოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 06 აპრილის N44 მიწერილობით გათვალისწინებული რეკომენდაციები.* ***შესრულები ვადა - 04.2028*** *შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს:* • *სხვენში ასასვლელ კიბეზე მოსწავლეთა წვდომის შეზღუდვა* • *სკოლის ეზოში არსებული სარდაფში ჩასასვლელი სივრცეების შემოსაზღვრა.* ***შესრულების ვადა - 04.2027***
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს, სკოლის ექიმის მიერ, გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად.* ***შესრულების ვადა - 09.2026***

ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდის დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.* ***შესრულების ვადა - 09.2026***
ინდიკატორი N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს:* • *პანდუსის, ადაპტირებული საპირფარეშოს, სართულებზე გადაადგილების საშუალების მოწყობა.* ***შესრულების ვადა - 05.2028*** • *რესურსოთახისთვის ცალკე სივრცის გამოყოფა.* ***შესრულების ვადა - 09.2026***
ინდიკატორი N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს საქმისწარმოების განხორციელება დადგენილი წესის შესაბამისად.* ***შესრულების ვადა - 05.2027***
ინდიკატორი N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები დ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსება.* ***შესრულების ვადა - 09.2026***

	შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N4.1.2.1	*სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და სტატუსის შეჩერების მექანიზმების გასაზღვრა.* ***შესრულების ვადა - 09.2026***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.* ***შესრულების ვადა - 05.2027***
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.* ***შესრულების ვადა - 05.2027***

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი*
ინდიკატორი N3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემების დაცვას*	*კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში დასაქმდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი*
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს*	*მიზანშეწონილია, მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი წარიმართოს ბუნებრივი განათების მქონე საკლასო ოთახებში.*

	საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
ინდიკატორი N 3.6.1.2	*სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას*	*მიზანშეწონილია, შემუშავდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესი*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N.4.1.2.3	*სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი*	*ვებ გვერდზე სრულყოფილად აისახოს ინფორმაცია სკოლის მიერ შეთვაზებული დამატებითი მომსახურების თაობაზე, საფასურის მითითებით (გახანგრძლვებული სწავლების წრე).*

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***უცხოური ენები*** *- სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შესწორდეს საფეხურის სამიზნე ცნებები. ამავე ცნებებზე დაყრდნობით შემუშავდეს განმავითარებელი შეფასებები. ყველა კლასის კურიკულუმს თავფურცელზე მიეთითოს სწორად კლასი, საგნის მასწავლებელი და კათედრის ოქმით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმნძღვანელო.*

		ესთეტიკური აღზრდა *- სასურველია, მუსიკის კურიკულუმებს თავფურცელზე მიეთითოს სკოლის სრული სახელწოდება,გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს ავტორები(სრულად) და მიმდინარე სასწავლო წელი.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***დაწყებითი საფეხური*** *- სასურველია, კათედრამ, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მიმართულებით, კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; სწორად აისახოს ესგს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა. თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, ყველა სასწავლო თემაში ,ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; კურიკულუმს მიეთითოს სწორად ინდექსი ,რომელიც მიუთითებს საგანს,სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს (მაგ: I უცხ.დაწყ.1); კათედრამ ერთობლივად იმუშაოს კურიკულუმის შეჯერებაზე სტანდარტთან მიმართებაში,რათაუზრუნველუოფილი იყოს ერთიანი ხედვა და თანმიმდევრული სწავლების პროცესი.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, მუსიკის კურიკულუმებში მაგალითები შედარებისთვის გაერთიანდეს ძირითად და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების გრაფაში.* ***დაწყებითი საფეხური*** *- სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. ელექტრონული რესურსების ბმულები პერიოდულად შემოწმდეს, რამდენად გამართულად მუშაობს.*

		საზოგადოებრივი მეცნიერებები *- სასურველია, კურიკულუმში შეიტანონ მრავალფეროვანი რესურსები, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები* ***უცხოური ენა*** *- სასურველია, კათედრამ გაამდიდროს კურიკულუმი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით,რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. კურიკულუმში ინტეგრირდეს სანდო და მიზნობრივი ინტერნეტ რესურსები,რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სასწავლო თემატიკასთან. დაემატოს კონტექსტზე დაფუძნებული მაგალითები. კურიკულუმს სწორად მიეთითოს კლასი და კლასისთვის არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სასწავლო რესურსი. მაგალითად დაწყებით საფეხურზე იყო ცდომილება კათედრის ოქმით დამტკიცებულ სახელმძღვანელოებსა და კურიკულუმში გაწერილ სახელმძღვანელოებს შორის.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***დაწყებითი საფეხური*** *- სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული დავალებების შედეგენის დროს, სტანდარტით გათვალისწინებული თემები მკაფიოდ აისახოს.* ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწონ სტანდარტით მოცემული თემები, რათა თავიდან აირიდონ სასწავლო მასალის გართულება.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპიური განვითარების მოსწავლეებისთვის, (რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***ტექნოლოგიები*** *- სასურველია,კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ტექნოლოგიების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასება სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (პროგრამირება, , ციკლის ცნება, …).*

		ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა. *ასევე, გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის.* ***დაწყებითი საფეხური*** *- სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებების*** *- სასურველია, კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეიქმნას სამივე საფეხურზე, თემის ფარგლებში* ***უცხოური ენა*** *- სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები* *სასწავლო პროცესში წინასწარ დაიგეგმოს განმავითარებელი შეფასება,რომელიცმიუთითენს არა მხოლოდ შეცდომაზე,არამედ გაუმჯობესების გზებზე.* *გაკვეთილს პროცესში გამოიყენონ სხვადასხვა შეფასების ფორმა: თვითშეფასება,თანატოლთაშეფასება,რუბრიკები,ჩეკლისტები.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***დაწყებითი საფეხური*** *- სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- უმჯობესია რუბრიკაში კიდევ უფრო დეტალურად იყოს ქულების გარადაცია მოცემული (1დან -10 ქულამდე) და კრიტერიუმები იყოს მკაფიოდა ჩამოყალიბებეული. ასევე უმჯობესია თუ კათედრაზე იქნება შემუშავებული ერთნაირი დიზაინის/სტრუქტურის რუბრიკები.*

		საზოგადოებრივი მეცნიერებები *- სასურველია, კათედრის წევრებმა სამივე საფეხურისთვის შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია,შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების-ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე.შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური.*
ინდიკატორი N2.3.1.1	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად*	*სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდიყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში.*
სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** *(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე*	***უცხოური ენები*** *- სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შესწორდეს საფეხურის სამიზნე ცნებები. ამავე ცნებებზე დაყრდნობით*

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*შემუშავდეს განმავითარებელი შეფასებები. ყველა კლასის კურიკულუმს თავფურცელზე მიეთითოს სწორად კლასი, საგნის მასწავლებელი და კათედრის ოქმით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმნძღვანელო.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, მუსიკის კურიკულუმებს თავფურცელზე მიეთითოს სკოლის სრული სახელწოდება,გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს ავტორები(სრულად) და მიმდინარე სასწავლო წელი.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***სპორტი*** *- სასურველია, საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, ყველა სასწავლო თემაში, ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; კურიკულუმს მიეთითოს სწორად ინდექსი ,რომელიც მიუთითებს საგანს,სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს (მაგ: I უცხ.დაწყ.1); კათედრამ ერთობლივად იმუშაოს კურიკულუმის შეჯერებაზე სტანდარტთან მიმართებაში,რათაუზრუნველუოფილი იყოს ერთიანი ხედვა და თანმიმდევრული სწავლების პროცესი.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, მუსიკის კურიკულუმებში მაგალითები შედარებისთვის გაერთიანდეს ძირითად და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების გრაფაში.*

		საზოგადოებრივი მეცნიერებები *- სასურველია, კურიკულუმში შეიტანონ მრავალფეროვანი რესურსები, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები* ***უცხოური ენა*** *- სასურველია, კათედრამ გაამდიდროს კურიკულუმი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით,რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. კურიკულუმში ინტეგრირდეს სანდო და მიზნობრივი ინტერნეტ რესურსები,რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სასწავლო თემატიკასთან. დაემატოს კონტექსტზე დაფუძნებული მაგალითები. კურიკულუმს სწორად მიეთითოს კლასი და კლასისთვის არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სასწავლო რესურსი. მაგალითად დაწყებით საფეხურზე იყო ცდომილება კათედრის ოქმით დამტკიცებულ სახელმძღვანელოებსა და კურიკულუმში გაწერილ სახელმძღვანელოებს შორის.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწონ სტანდარტით მოცემული თემები, რათა თავიდან აირიდონ სასწავლო მასალის გართულება.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპიური განვითარების მოსწავლეებისთვის, (რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეიქმნას სამივე საფეხურზე, თემის ფარგლებში* ***უცხოური ენა*** *- სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები ; სასწავლო პროცესში წინასწარ დაიგეგმოს განმავითარებელი შეფასება,რომელიცმიუთითენს არა მხოლოდ შეცდომაზე, არამედ გაუმჯობესების გზებზე; გაკვეთილს პროცესში გამოიყენონ სხვადასხვა*

		შეფასების ფორმა: თვითშეფასება,თანატოლთაშეფასება,რუბრიკები,ჩეკლისტები
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- უმჯობესია რუბრიკაში კიდევ უფრო დეტალურად იყოს ქულების გარადაცია მოცემული (1დან -10 ქულამდე) და კრიტერიუმები იყოს მკაფიოდა ჩამოყალიბებეული. ასევე უმჯობესია თუ კათედრაზე იქნება შემუშავებული ერთნაირი დიზაინის/სტრუქტურის რუბრიკები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კათედრის წევრებმა სამივე საფეხურისთვის შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია,შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების-ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე.შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური.*
ინდიკატორი N2.3.1.1	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად*	*სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდიყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ.*

		ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში.
სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***სპორტი*** *- კურიკულუმში თემების ნაცვლად წარმოდგენილია თემატური ბლოკები. სასურველია, აღნიშნული ბლოკები გამოყენებულ იქნეს როგორც საფუძველი კონკრეტული თემების შესარჩევად და დასაგეგმად. აგრეთვე, პედაგოგებმა თემატური ბლოკების ფარგლებში წინასწარ განსაზღვრონ სასწავლო თემები.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***სპორტი*** *- სასურველია, საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, ყველა სასწავლო თემაში ,ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს.* *კურიკულუმს მიეთითოს სწორად ინდექსი ,რომელიც მიუთითებს საგანს,სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს(. მაგ: I უცხ.დაწყ.1)*

		კათედრამ ერთობლივად იმუშაოს კურიკულუმის შეჯერებაზე სტანდარტთან მიმართებაში,რათაუზრუნველუოფილი იყოს ერთიანი ხედვა და თანმიმდევრული სწავლების პროცესი.
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კურიკულუმში შეიტანონ მრავალფეროვანი რესურსები, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები* ***უცხოური ენა*** *- სასურველია, კათედრამ გაამდიდროს კურიკულუმი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით,რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. კურიკულუმში ინტეგრირდეს სანდო და მიზნობრივი ინტერნეტ რესურსები,რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სასწავლო თემატიკასთან. დაემატოს კონტექსტზე დაფუძნებული მაგალითები. კურიკულუმს სწორად მიეთითოს კლასი და კლასისთვის არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სასწავლო რესურსი. მაგალითად დაწყებით საფეხურზე იყო ცდომილება კათედრის ოქმით დამტკიცებულ სახელმძღვანელოებსა და კურიკულუმში გაწერილ სახელმძღვანელოებს შორის.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწონ სტანდარტით მოცემული თემები, რათა თავიდან აირიდონ სასწავლო მასალის გართულება.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპიური განვითარების მოსწავლეებისთვის, (რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეიქმნას სამივე საფეხურზე, თემის ფარგლებში*

		უცხოური ენა *- სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები* *სასწავლო პროცესში წინასწარ დაიგეგმოს განმავითარებელი შეფასება,რომელიცმიუთითენს არა მხოლოდ შეცდომაზე,არამედ გაუმჯობესების გზებზე.* *გაკვეთილს პროცესში გამოიყენონ სხვადასხვა შეფასების ფორმა: თვითშეფასება,თანატოლთაშეფასება,რუბრიკები,ჩეკლისტები*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- უმჯობესია რუბრიკაში კიდევ უფრო დეტალურად იყოს ქულების გარადაცია მოცემული (1დან -10 ქულამდე) და კრიტერიუმები იყოს მკაფიოდა ჩამოყალიბებეული. ასევე უმჯობესია თუ კათედრაზე იქნება შემუშავებული ერთნაირი დიზაინის/სტრუქტურის რუბრიკები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კათედრის წევრებმა სამივე საფეხურისთვის შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია,შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების-ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე.შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი*

		თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური.
ინდიკატორი N2.3.1.1	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად*	*სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდიყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ:

- ინდიკატორები - N1.1.1.1, N3.1.1.1, N3.1.1.2, N3.1.2.3, N3.1.2.4, N3.4.1.2, N3.5.1.3, N3.6.2.1, N3.6.3.5, N4.1.2.1 და N2.2.2.3 (საბაზო და საშუალო საფეხური), რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან

შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

- ინდიკატორები - N3.4.1.1 და N3.5.1.4, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 24 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ წარმოადგინა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისი მისია, რომლის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია განათლებული, პატრიოტული და სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე, ტოლერანტული, ჰუმანური, ეროვნული ტრადიციების პატივისმცემელი, სულიერად და ფიზიკურად განვითარებული, ჰარმონიული პიროვნებების აღზრდაზე, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი თავის რეალიზება და აღჭურვილნი იქნებიან კონკურენტუნარიანი ცოდნით; ექნებათ მტკიცე ზნეობრივი ღირებულებები და მოქალაქეობრივი პოზიცია.

სკოლამ წარმოადგინა ხედვა, თუმცა ის ვერ განიხილება როგორც სკოლის საშუალო ან გრძელვადიანი განვითარების მიზნების თანმიმდევრული ერთობლიობა. ხედვაში მკაფიოდ არ იკვეთება სკოლის მისწრაფებები — როგორ წარმოუდგენია სკოლას საკუთარი თავი განსაზღვრული დროის შემდეგ. ხედვით წარმოდგენილი მიმართულებები, როგორიცაა თანამედროვე მართვის სისტემის დანერგვა, ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება, პედაგოგთა პროფესიულ ზრდაზე ზრუნვა, მოსწავლეთა გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სულიერი განვითარების ხელშეწყობა, მათი სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბება, სასკოლო საზოგადოების თვითშეფასების მექანიზმების დანერგვა და განვითარება, ვებ-გვერდის შექმნა და განვითარება, უფრო მეტად ასახავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღრულ ამოცანებსა და აქტივობებს, ვიდრე სკოლის მომავალზე ორიენტირებულ ხედვას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს მკაფიო, თანმიმდევრული და მომავალზე ორიენტირებული ხედვის შემუშავებას, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მისწრაფებებსა და სასურველ მდგომარეობას განსაზღვრული დროის შემდეგ.

შესრულების ვადა - 05.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიის თანახმად, ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის იმ უნარების განვითარებაზე, რომელთა დახმარებითაც შეძლებენ თავის რეალიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ხედვაში მკაფიოდ არ იკვეთება სკოლის მისწრაფებები — როგორ წარმოუდგენია სკოლას საკუთარი თავი განსაზღვრული დროის შემდეგ, ის ორიენტირებულია მოსწავლეთა გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ, სულიერ განვითარებაზე ზრუნვაზე და სოციუმის სრულფასოვან წევრებად მათი ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N2-175 ბრძანებით, სკოლაში შექმნილია სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები.

სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 7 სექტემბრის ოქმიN1, რომელიც ადასტურებს, რომ სამუშაო ჯგუფმა შეიმუშვა და განიხილა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებები პროექტი, რომელიც განხილვის მიზნით წარედგინა სამეურვეო საბჭოს და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ 2023 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე.

სკოლამ ასევე წარმოადგინა კითხვარები, რომელთა საშუალებითაც გამოიკითხა სკოლის მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლის ფილოსოფიის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 7 სექტემბრის ოქმიN1, რომელიც ადასტურებს, რომ სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები, შეიმუშვა და განიხილა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებები პროექტი, რომელიც განხილვის მიზნით წარედგინა სამეურვეო საბჭოს და 2023 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ. გარდა ამისა, წარმოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები, რომლებიც ადასტურებს, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლითაც წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფია, დამრიგებლებმა გააცნეს მშობლებს. აღნიშნულის გათვალისიწინებით იკვეთება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

უზრუნველყოფილია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებები საჯაროობა - სკოლის ვებ გვერდზე და სკოლის შენობაში განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება - სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლა, შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები*
- *დირქტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N2-175 ბრძანება*
- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სამუშო ჯგუფის ოქმი N1*
- *პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 18 სექტემბრის N6 ოქმი*
- *სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 9 სექტემბრის N9 ოქმი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N2-174 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც გათვლილია 2023-2030 წლებზე. განსაზღვრულია შვიდი სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი ამოცანები, რომლებიც შეესაბამება სკოლის მისიას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ და დამტკიცა სამეურვეო საბჭომ 2023 წლის 26 სექტემბრის სხდომაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შესაბამისი აქტივობები. ასევე წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც განიხილა სამეურვეო საბჭომ და დირექტორს მიეცა რეკომენდაცია - მომდევნოს სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც მიმდინარე სასწავლო წელს ვერ მოხერხდა და რომლებიც კვლავ აქტუალურია.

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა და განხილვის მიზნით წარუდგინა სკოლის დირექტორს. აღნიშნული პროექტი განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ და სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა 2025 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით იკვეთება, რომ საქმოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა*
- *2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა*
- *2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი*
- *სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის სხდომის N4 ოქმი*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა სკოლაში დამტკიცებულია 2023 წლის 23 სექტემბერს, შესაბამისად, მისი მონიტორინგის ვადები ჯერ დამდგარი არ არის.

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რომელიც განხორციელდა აღნიშნული სასწავლო წლის ბოლოს და შედეგები განიხილა სამეურვეო საბჭომ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა - 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ასევე წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც განიხილა სამეურვეო საბჭომ და დირექტორს მიეცა რეკომენდაცია - მომდევნოს სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც მიმდინარე სასწავლო წელს ვერ მოხერხდა და რომლებიც კვლავ აქტუალურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მთოდოლოგია*
- *2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი*
- *სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის სხდომის N4 ოქმი*
- *სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 9 სექტემბრის N9 ოქმი*
- *სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 23 სექტემბრის N10 ოქმი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში არ არის შემუშვებული დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. სკოლის დირექტორის განცხადებით, დასაქმებულ პირთა ფუნქციები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებებით, ხოლო სტრუქტურული ერთულების ფუნქციები მოქმედი კანონმდებლობით.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს.

შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში არ არის შემუშვებული დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. სკოლის დირექტორის განცხადებით, დასაქმებულ პირთა ფუნქციები განისაზღვრება შრომითი

ხელშეკრულებებით, ხოლო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოქმედი კანონმდებლობით. შესაბამისად, ვერ დასტურდება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს იმგვარად, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობდეს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შრომითი ხელშეკრულებები*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დირექტორის 2026 წლის 4 მარტის N2-333 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმად, პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტურად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღრულია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გათავისუფლდება.

სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კონკრეტული მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში, სკოლა ეფექტურად ახდენს მასწავლებლის ჩანაცვლებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლაში ვაკანტური პოზიციის შევსება ხდება კონკურისი წესით. სკოლაში კონკურსის გამოცხადება ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე, რომლითაც, ასევე განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და სხვა. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლის მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად სკოლის დირექტორის მიერ

იქმნება შესაბამისი კომისია. კომისია უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციებზე საუკეთესო კანდიდატთა შერჩევას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურედება, რომ სკოლა პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების შესწავლით გამოიკვეთა, რომ პირად საქმეებში, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები. (ნასამართლობის შესახებ ცნობა საჭიროა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობების წარმოდგენას.

შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის N2-355 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის დროს, პირადი საქმეების განხილვით, დადასტურდა, რომ დირექციის, ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **თუმცა, სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების**

განმსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად, სკოლის დამლაგებლის პოზიციაზე შეიძლება დასაქმდეს პირი, რომელსაც აქვს საბაზო ან საშუალო განათლება. შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგენა. ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში დასაქმებულია მუშა და მეეზოვე, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტით.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს:

- სკოლაში დასაქმებული ყველა პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრას (მეეზოვე, მუშა)
- დადგენილ მოთხოვნებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურებას.

შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების და კურიკულემების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში ფუნქციურია სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ადამიანური რესურების მართვის პოლიტიკის თანახმად, მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

შინაგანაწესის მე - 10 მუხლით განსაზღრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი.

სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, საგნობრივი კათედრის ფუნქციაა ხელი შეუწყოს პროფესიული გამოცდილების გაზიარებას, სასწავლო პროცესის ერთობლივ დაგეგმვას და პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *შინაგანაწესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, მეთოდები და ეტაპები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე ურთიერთდასწრება და შეფასება და ამ გზით პედაგოგთა საჭიროებების იდენტიფიცირება, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე ურთიერთდასწრება და შედეგეგად რჩევების გაცემა პროფესიული განვითარების მიმართულებით. საჭიროების იდენტიფიცირება ხდება ზეპირსიტყვიერადაც, პერსონალის მხრიდან.

მასაწვლებლებთან გასაუბრებით დასტუდება, რომ მათი ინტერესების და საჭიროების გათვალისიწინებიბთ ხდება ტრენინგებზე დასწრება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ადამიანური რესურსების განვითარება სკოლის ერთერთი სტრატეგიული მიზანია. სამოქმედო გეგმაში განსაზღრულია შესაბამისი ამოცანები და აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-326 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლის თანამშრომელთა ადაპტაციის წესი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს: პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთან"; თანამშრომლების გაცნობა; მენტორი თანამშრომლის გამოყოფა.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. უზრუნველყოფილია მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *შინაგანაწესი*
- *თანამშრომლეთა ადაპტაციის წესი*
- *გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-325 ბრძანებით, დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება ქვეპროცესებისაგან - სკოლის

პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება, პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება და უკუკავშირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია აღნიშნული პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დირექტორის 2026 წლის 4 მარტის N2-334 ბრძანებით, დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია საჩივრების ფორმა, მისი განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტისა წარმომადგენლობის უფლება, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის, საჩივარზე უარის თქმის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით უზრუნველყოფილია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. განსაზღვრულია უფლებები და მოვალეობები, დეტალურად არის აღწერილი დისციპლინური

გადაცდომების ჩამონათვალი და შესაბამისი პასუხისმგებლობის ფორმები. მოსწავლისა და მშობლის უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია სკოლასა და მშობელს შორის დადებულ ხელშეკრულებითაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა*
- *განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი*
- *შინაგანაწესი*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი (https://shorturl.at/UAuYG) და აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), სადაც ქვეყნდება ინფორმაცია როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმილი სასკოლო აქტივობების შესახებ, ასევე მოსწავლეთა, პედაგოგთა და სასკოლო კლუბების მიღწევებსა და წარმატებებზე.

შინაგანაწესის მიხედვით, კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან, გააცნონ ის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, ხოლო ცვლილებების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი გაცნობა არაუგვიანეს 5 დღის ვადაში. ამასთან, ყველა მასწავლებელი, მიუხედავად სამუშაო დატვირთვისა, ვალდებულია ყოველ პარასკევს, 13:00-დან 17:00 საათამდე იმყოფებოდეს სკოლაში და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ.

სკოლაში რეგულარულად იმართება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების სხდომები, აგრეთვე მშობელთა კრებები, რაც ხელს უწყობს მიმდინარე საკითხების განხილვასა და ეფექტური უკუკავშირის მიღებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- *სამურვეო საბჭო სხდომის ოქმები*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

მიმდინარე ეტაპზე სკოლამ ვერ წარმოადგინა **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. თუმცა, გაფორმებული აქვს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ხელშეკრულება სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის თაობაზე.**

სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 06 აპრილის N44 მიწერილობა, რომელშიც გაწერილია 21 ხარვეზი და შესაბამისი რეკომენდაციები შესრულების ვადებით. სკოლამ, საკუთარი შესაძლებლობებით, შეასრულა 9 რეკომენდაცია. სხვა ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, დახმარებისთვის მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. მიმდინარე ეტაპისთვის ვადები ამოწურულია. თუმცა, რეკომენდაციები სრულად შესრულებული არ არის.

სკოლის შენობისა და ეზოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სხვენში ასასვლელი კიბე არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს და მასზე მოსწავლეთა წვდომა შეზღუდული არ არის. გარდა ამისა, სკოლის ეზოში არსებული სარდაფში ჩასასვლელი სივრცეები არ არის სათანადოდ შემოსაზღვრული, რაც მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის რისკს წარმოადგენს.

რჩევა - კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, წარმოადგენს:

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას

  შესრულები ვადა - 04.2027

- უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას

  შესრულები ვადა - 04.2027

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოფს:

- **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 06 აპრილის N44 მიწერილობით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებას**

  შესრულები ვადა - 04.2028

- **სხვენში ასასვლელ კიბეზე მოსწავლეთა წვდომის შეზღუდვა;**
- **სკოლის ეზოში არსებული სარდაფში ჩასასვლელი სივრცეების შემოსაზღვრა.**

შესრულების ვადა - 04.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. დასაქმებულია ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა სკოლის ექიმის მიერ, არ ხდება კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის ექიმი უზრუნველყოფს გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად.

შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში დასაქმებულია 2 მანდატური. დირექტორის 2025 წლის 08 სექმტებრის N2-196 ბრძანებით განსაზღრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სართულების მიხედვით შემუშავებულია პედაგოგთა მორიგეობის განრიგი. მონიტორინგს ექვემდებარება სკოლის შენობაში უცხო პირთა შესვლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში განსაზღვრულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. წახალისებულია მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა ინიციატივები, რაც ხელს უწყობს სასკოლო გარემოში ემოციურ და ფსიქოლოგიურ თვითდამკვიდრებას. სკოლასთან თანამშრომლობს სოციალური მუშაკი, რომელიც რეაგირებს წარმოქმნილ პრობლემურ გარემოებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დასაქმებულია დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ექიმი ვალდებულია ზედამხედველობა განახორციელოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, სკოლაში დამუშავებული პერსონალური მონაცემები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება.

რჩევა - კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში დასაქმდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტის თანახმად, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას; პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლაში კომპიუტერები აღჭურვილია ანტივირუსული სისტემით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი 2025-26*
- *ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ*
- *ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია*
- *სკოლის პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკა*
- *წერილი ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის მდგრადობის შესახებ*
- *თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე*
- *ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი*
- *მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში და სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაცემული აქვს 2992 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 4834. 81 კვ.მ შენობა ნაგებობები. სკოლის შენობა სარეაბილიტაციო და მოიცავს 23 საკლასო ოთახს, რომელთაგან 6-ს არ აქვს გარე სივრცეში გამავალი ფანჯრები; არის სამუშაო სივრცე დირექციისა და მასწავლებლებისთვის. ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული კაბინეტი, გარე სპორტული მოედანი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის სასკოლო ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა.

რჩევა - მიზანშეწონილია, მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი წარიმართოს ბუნებრივი განათების მქონე საკლასო ოთახებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში შემუშვებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-335 ბრძანებით, დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლითაც განსაზღრულია ბიბლიოთკით სარგებლობის წესები.

ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდი არ არის დამუშვებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდის დამუშვებას საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

შესრულების ვადა - **09.2026**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა ადაპტირებული არ არის. სკოლაში არ არის მოწყობილი პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო, სართულებზე გადაადგილების საშუალებები. აღსანიშანვია, რომ სკოლაში რესურსოთახი ფუნქციონირებს საბიბლიოთეკო სივრცეში, სადაც ასევე განთავსებულია სოციალური მუშაკის კაბინეტი. რესურსოთახი (ისევე როგორც სოციალური მუშაკის საქმიანობა), საჭიროებს განსხვავებულ პირობებს და სამიზნე პირების/ჯგუფების განცალკევებას, რაც ხელს შეუწყობს ეფექტურ მუშაობას პერსონალური ინფორმაციის დაცვით.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს:

- პანდუსის, ადაპტირებული საპირფარეშოს, სართულებზე გადაადგილების საშუალების მოწყობას

შესრულების ვადა - **05.2028**

- რესურსოთახისთვის ცალკე სივრცის გამოყოფას

შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობაში პარალელურად ფუნქციონირებს სსიპ ქალაქ თბილისის N37 საჯარო სკოლა, რის გამოც ინფრასტრუქტურა დღის განმავლობაში სრულად დატვირთულია. მიუხედავად ამისა, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობს თავშეყრისა და კომუნიკაციის შესაძლებლობა, მათ შორის სააქტო დარბაზში, კომპიუტერულ კაბინეტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *ამონაწარი საჯარო რეესტრიდან*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი. კომპიუტერი და პრინტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. სკოლის ვიზუალური დათვალიერებით, ადმინისტრაციის წარმომადგნელებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის ვიზუალური დათვალიერებით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

რჩევა - მიზანშეწონილია, შემუშავდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განხორციელებული ინვენტარიზაციის მასახველი მასალები*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის N2-354 ბრძანებით, დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც ბრძანებების აღრიცხვა და სარეგისტრაციო/რიგითი ნომრების მინიჭება უნდა დაიწყოს ყოველი კალენდარული წლის დასაწყისიდან. თუმცა, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ **2026 წლის ბრძანებების ნუმერაცია არ იწყება ახალი კალენდარული წლით, არამედ წარმოადგენს 2025 წლის ბრძანებების ნომრების გაგრძელებას.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს საქმისწარმოების განხორციელებას დადგენილი წესის შესაბამისად.

შესრულების ვადა - 05.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow"; აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - tbilisi30@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახულია ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება*
- *ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) - გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე. სკოლის დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-332 ბრძანებით, განსაზღვრულია ვებ გვერდისა და საკომუნიკაციო არხების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა საკუთარ საქმიანობასა და განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინფორმაციას ავრცელებს როგორც ვებ გვერდის, ისე სოციალური ქსელების მეშვეობით. ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე იკვეთება, რომ ვებ გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო მონაცემები, არის სანდო და დამაჯერებელი. სკოლის დირექტორის 2026 წლის 4 მარტის N2-332 ბრძანებით განსაზღვრულია ვებ გვერდისა და საკომუნიკაციო არხების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დირექციის განცხადებით, რაც დააადასტურეს მშობლებმა გასაუბრების დროს, სკოლაში დამკვიდრებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი კომუნიკაციის პრაქტიკა. თუმცა, რეგულარულად ტარდება პედაგოგური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომები, რაც უზურნველყოფს მიმდინარე საკითხების განხილვისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, სკოლა ორიენტირებულია საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი - https://shorturl.at/UAuYG, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის აქვს ვებ გვერდი (https://shorturl.at/UAuYG) შეიცავს რომელზეც განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ვებ გვერდი არ შეიცავს ინფორმაციას პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების თაობაზე.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნლვეყოფს ვებ გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსებას.

შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ. გვერდზე პასუხისმგებელი პირი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით. თუმცა, აქვს დამატებითი შემოსავალი იჯარის საფუძველზე. ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დირექტორის 2024 წლის 12 ნოემბრის N2-282 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი. ასევე განსაზღვრულია შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირი (ბრძანება N2-284 12.11.2024). დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა. სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. დეკემბერში სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- *სახელმწიფო შესყიდვების წესი*
- *სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა*
- *სამეურვეოს საბჭოს სხდომის ოქმი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა.

დირექტორის 2026 წლის 4 მარტის N2-334 ბრძანებით, დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია საჩივრების ფორმა, მისი განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტისა წარმომადგენლობის უფლება; საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის, საჩივარზე უარის თქმის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე, ასევე სკოლის შენობაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა. დირექტორის 2026 წლის 4 მარტის N2-334 ბრძანებით, დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია საჩივრების ფორმა, მისი განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტისა წარმომადგენლობის უფლება; საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის, საჩივარზე უარის თქმის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი*
- *შინაგანაწესი*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-329 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა მობილობის წესი. სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება კლასის და საფეხურის დაძლევა. **არ არის განსაზღვრული ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების მექანიზმები.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების მექანიზმების გასაზღვრას.

შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას შემუშვებული არ აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების მექანიზმები. თუმცა სკოლის დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურდა, რომ სკოლაში აღნიშნული პროცესები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურებების ტიპები და პირობები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით, ხოლო მოსწავლეთა ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით. ორივე დოკუმენტის საჯაროობა უზრუნველყოფილია – ისინი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე, ხოლო დამრიგებლები უზრუნველყოფენ მათ გაცნობას როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მშობლებისთვის.

რჩევა - ვებ გვერდზე სრულყოფილად აისახოს ინფორმაცია სკოლის მიერ შეთვაზებული დამატებითი მომსახურების თაობაზე, საფასურის მითითებით (გახანგრძლვებული სწავლების წრე).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-332 ბრძანებით განსაზღვრულია ვებ გვერდისა და საკომუნიკაციო არხების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-332 ბრძანება*
- *დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-329 ბრძანება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N2-327 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები. დეზადაპტაციის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. გათვალისწინებულია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა და მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის პროცესის სპეციფიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

ადაპტაციის წესის თანახმად, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს, უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა, მოსწავლისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება.

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი და რეგულირებულია სემესტრული ქულის ამაღლების მექანიზმი. საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს რემედიაციის პროგრამის შემუშვებას მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დარეგულირებულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადების, სემესტრული გამოცდის საკითხი. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლებისგან მიღებული აქვთ ინფორმაცია აღნიშნული საკითხის თაობაზე.
მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, სკოლა ღებულობს ზომებს მოსწავლისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სასკოლო სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული ის დამატებითი და არაფორმალური აქტივობები, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს. თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, რომელთა საქმიანობა წარიმართება სკოლაში დასაქმებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. მათი ჩართულობით უზრუნველყოფილია მოსწავლეების დახმარება არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელების მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა მათგან მიღებულ უკუკავშირს იყენებს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის. აღნიშნულს ასევე ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმები, რომელთა მიხედვითაც, მეორე უცხო ენის არჩევა ხორციელდება მშობლების სურვილის გათვალისწინებით. ასევე მშობლების სურვილის გათვალისწინებით, სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების წრე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი*
- *მშობელთა კრებების ოქმები*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულია აქტივობები პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ, მათი აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება რომ დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეებთან განიხილავენ აღნიშნულ საკითხებს.

მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან საუბრით დასტურდება რომ მოსწავლეები ხვდებიან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს ან მასწავლებლეთა ხელშეწყობით, ახორციელებენ ვიზიტებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლაში იწვევენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე, დამრიგებლის დახმარებით, ხორციელდება უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა ვიზიტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მიმდინარე ეტაპზე, მომსახურების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი სკოლაში შემუშავებული არ არის. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, რის გამოც მოცემული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სადამრიგებლო პროგრამა*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღრულია სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების, ისგ ჯგუფის შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების და განხორციელების მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში იქმნება ინკლუზიური განათლების

განხორციელების სამოქმედო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორცილების მონიტორინგის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო პროცესში შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი და მოსწავლის მშობელი. თანამშრომლობით იგეგმება და მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ამასთან, სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ისგ-ის განხორციელების პროცესს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ისგ - ჯგუფის მუშობის ამსახველი დოკუმენტაცია*
- *მონიტორინგის შედეგები*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, რასაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს. მიმდინარე ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების წრე. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სკოლაში შემდეგი კლუბების ფუნქციონირება - კლუბი „კალმოსნები“, სპორტული კლუბი, კლუბი „კინოსამყარო“, ბიოლოგიის კლუბი. სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზისა და სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მოსწავლეებისთვის დამატებითი მომსახურების შეთავაზება ხდება მშობელთა და მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით. თვითმმართველობის წარმომადგენლება აღნიშნეს, რომ კლუბები იქმნება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და მათში გაწევრიანება ნებაყოფლობითია.

სკოლაში იჯარის წესით გაცემულია ფართი ცეკვის, ფრენბურთის წრეების, მოსამზადებელი ცენტრის ფუნქციონირების მიზნით. ფართი იჯარით გაცემულია სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანხმობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში იჯარის წესით გაცემულია ფართი ცეკვის, ფრენბურთის წრეების, მოსამზადებელი ცენტრის ფუნქციონირების მიზნით. ფართი იჯარით გაცემულია სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით. იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, საიჯარო ფართში არსებული საინჟინრო და კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *იჯარის ხელშეკრულებები*
- *კლუბების დებულება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში, დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N2-331) დამტკიცებულია დოკუმენტი „სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომელიც განსაზღვრავს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპებს.

დოკუმენტის მიხედვით, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობა არ მოიცავს მხოლოდ ინფორმირებას და ითვალისწინებს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული სისტემის ჩამოყალიბებას.

სკოლის დირექტორი პასუხისმგებლობას იღებს სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, აღნიშნულ დოკუმენტში კი გაწერილია მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარისა და დირექტორის მოადგილის ფუნქცია-მოვალობები კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპზე. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას და მის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. კურიკულუმის განვითარება სკოლის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რაც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლის კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს სკოლის ტრადიციებს. შემუშავებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით და შეესაბამება სკოლის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს.

კურიკულუმის განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლი. მასწავლებლები სისტემატურად აანალიზებენ სწავლა-სწავლების პროცესს, ახდენენ საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას, განსაზღვრავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ კათედრაზე და ითვალისწინებენ ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

კურიკულუმის განხორციელების პროცესს ზედამხედველობას უწევს სკოლის ადმინისტრაცია. კათედრის ხელმღვანელი არის შუამავალი რგოლი მასწავლებლებსა და დირექციას შორის. მას ევალება მასწავლებელთა ფასილიტაცია, მოსწავლეთა მიღწევებისა და მასწავლებელთა საჭიროებების შესახებ ანგარიშის მომზადება. გარდა ამისა, სკოლაში არსებობს გაკვეთილებზე დირექტორისა და მისი მოადგილის დასწრებისა დ ამათი მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასების პრაქტიკა.

კლასის დამრიგებლებსა და მშობლებს შორის აქტიური კომუნიკაცია სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით, სკოლას ეხმარება სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენაში, რაც შემდგომ აისახება სასკოლო კურიკულუმში.

აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას და თანამშრომლობის პრინციპს. „სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" მიხედვით, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობა არ მოიცავს მხოლოდ ინფორმირებას და ითვალისწინებს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული სისტემის ჩამოყალიბებას.

დოკუმენტში გაწერილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მკაფიოდ არის განსაზღვრული მასწავლებლებისა და საგნობრივი კათედრების ფუნქციები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგნობრივი მიმართულებების დაგეგმვაზე, სასწავლო პროცესის ანალიზსა და კურიკულუმის განვითარებაზე.

სკოლის ადმინისტრაცია კოორდინაციას უწევს პროცესს და აკონტროლებს მისი განხორციელების ხარისხს.

აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ხელს უწყობს ისეთი კურიკულუმის შექმნას, რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში კურიკულუმის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის უზრუნველყოფილია კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. როგორც მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელში შექმნილ დახურულ ჩატებს, სადაც დამრიგებლები მშობლებს უზიარებენ სხვადასხვა დოკუმენტებსა და ინფორმაციას, მათ შორის საგნობრივ კურიკულუმებს.
სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სარგებლობს დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემითა და ონლაინ სასკოლო ჟურნალით, რაც ინფორმაციის გავრცელების საშუალებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.
სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სასკოლო სივრცეშიც – საინფორმაციო დაფების, ბეჭდვითი მასალებისა და სხვადასხვა საინფორმაციო რესურსის გამოყენებით. ამასთანავე, კურიკულუმის გაცნობა და განხილვა ხდება სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებზე, კათედრის სხდომაზე, სამუშაო შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე.
აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობასა და პროცესში მათ ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბუნებისმეტყველო კათედრის სხომის ოქმი N3*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ბრძანება N2-331 სსიპ ქ. თბილისის N30 საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა*

- *სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი N3*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *სკოლის ვებ გვერდი*

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების დაგეგმვის საფუძველია კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ შინაარსის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის მიერ ცოდნის დამოუკიდებელად აგებაზე. ხშირ შემთხვევაში დაგეგმვისას გათვალისწიენებულია მოსწავლის წინარე გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მართალია, დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგიერთ კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა,რომ

	მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად იგეგემება არაფორმალური აქტივობები - ექსკურსიები და სასკოლო ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხო ენების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები სრულად ასახავს სასწავლო პროცესის განვითარების დინამიკას. სამივე საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება შემოქმედებით დავალებებს და ითვალისწინებს, თუ რა შეძლეს მოსწავლეებმა ამა თუ იმ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრეს და რამდენად მიუახლოვდნენ ისინი სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს კონკრეტულ თემაში, კონკრეტული საკითხების შესწავლისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - სასურველია,დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შესწორდეს საფეხურის სამიზნე ცნებები. ამავე ცნებებზე დაყრდნობით შემუშავდეს განმავითარებელი შეფასებები. ყველა კლასის კურიკულუმს თავსართფურცელზე მიეთითოს სწორად კლასი,საგნის მასწავლებელი და კათედრის ოქმით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმნძღვანელო.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნის(ხელოვნება,მუსიკა) სტანდარტის მიხედვით გაწერილი სავალდებულო თემები, თემატური ბლოკები და სამიზნე ცნება/ქვეცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - დაწყებით და საბაზო საფეხურზე მუსიკის კურიკულუმებს თავფურცელზე მიეთითოს სკოლის სრული სახელწოდება,გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს ავტორები(სრულად) და მიმდინარე სასწავლო წელი.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის

	შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. ყველა თემა კურიკულუმში შეჯამებულია შემოქმედებითი დავალებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, რითიც დასტურდება, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები, უნარები და ინტერესები. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმების შემუშავებას მოთხოვნების და განსაზღრული მეთოდოლოგიის შესაბამისას წარვმართავთ, დაადასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმში გაწერილ დაწყებითების და საბაზო საფეხურის თემებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, აგრეთვე დაგეგმილი თემის შესწავლის ეტაპები, ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და მიმართულია მათი ფიზიკური

	განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების ჩამოყალიბებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - საშუალო საფეხურის კურიკულუმში თემების ნაცვლად წარმოდგენილია თემატური ბლოკები. სასურველია, აღნიშნული ბლოკები გამოყენებულ იქნეს როგორც საფუძველი კონკრეტული თემების შესარჩევად და დასაგეგმად. აგრეთვე პედაგოგებმა თემატური ბლოკების ფარგლებში წინასწარ განსაზღვრონ სასწავლო თემები.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, შემუშავებული კურიკულუმის სტრუქტურა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემაზე, არამედ სამიზნე ცნებების გააზრებაზე. თითოეული თემა და შემოქმედებითი ბუნების დავალება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან შედეგებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სიღრმისეული და კონსტრუქციული ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მუშავდება ყველა თემა, თემის ფარგლებში -სამიზნე ცნებები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მუშავდება ნაწილობრივ, კომპლექსური დავალებებით. მასწავლებლელთა აღნიშვნით, სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგმავენ იმ საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე კურიკულუმში ასახული არ არის, რადგან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა - მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, სამივე საფეხურზე, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.**
უცხოური ენები	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია ცნებათა სწავლებაზე, რისი მანიშნებელიცაა ე. წ. კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით სწავლება, თუმცა მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე შუალედური, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - სასურველია, სამივე საფეხურზე, ყველა სასწავლო თემაში ,ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. კურიკულუმს მიეთითოს სწორად ინდექსი ,რომელიც მიუთითებს საგანს,სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს(მაგ: I უცხ.დაწყ.1) კათედრამ ერთობლივად იმუშაოს კურიკულუმის შეჯერებაზე სტანდარტთან მიმართებაში,რათაუზრუნველუოფილი იყოს ერთიანი ხედვა და თანმიმდევრული სწავლების პროცესი.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამივე საფეხურის კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით .ინტერვიუში გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესი მოიცავს მრავალფეროვან დავალებებს , განსაკუთრებით არაფორმალური განათლების მიმართულებით ,რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების უფრო კომპლექსურად,საგანთა კავშირებით და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გააზრებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერები იერარქიული კავშირშია ერთმანთთან. შემოქმედებითი ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით, კრიტიკულ, ანალიზის, კომუნიკაციის, თვითშეფასების უნარების გამომუშავებას, იგივე დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და მათ გამოხატეს მზაობა აქტიურობით გააგრძელებენ იმ მიმართულებით მუშაობას, რომ კურიკულუმი შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის კურიკულუმის ჩარჩოში ნათლად არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებები. განხორციელების პროცესში განსაზღვრულია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლო ელექტრონული რესურსები. აგრეთვე დაგეგმილი თემის შესწავლის ეტაპები, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

	რჩევა - სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა - სასურველია, კათედრამ, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მიმართულებით, კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა. თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები წარმოადგენს მრავალფეროვან არჩევანს, რომელიც სახელმძღვანელოს ჩარჩოებს სცდება. რესურსები შერჩეულია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრების ხელშესაწყობად. თითოეული თემის ფარგლებში გამოყენებულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამხმარე რესურსები: ვიზუალური მასალა, სტატიები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები: ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, თემატური რუკები. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს ეძლევათ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები და შესაბამისად პედაგოგები წარმატებით ახორციელებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - კურიკულუმში სამივე საფეხურთან მიმართებაში შეიტანონ მრავალფეროვანი რესურსები, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები.**
უცხოური ენები	უცხო ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები,გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები ,ასევე ციფრული ინტერნეტ რესურსები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დამატებით იმ სასწავლო რესურსებზე,რომელსაც აქტურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესების მსვლელობისას. .

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა - სასურველია, სამივე საფეხურზე, კათედრამ გაამდიდროს კურიკულუმი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით,რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.** **კურიკულუმში ინტეგრირდეს სანდო და მიზნობრივი ინტერნეტ რესურსები,რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სასწავლო თემატიკასთან.** **დაემატოს კონტექსტზე დაფუძნებული მაგალითები.** **კურიკულუმს სწორად მიეთითოს კლასი და კლასისთვის არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სასწავლო რესურსი. მაგალითად დაწყებით საფეხურზე იყო ცდომილება კათედრის ოქმით დამტკიცებულ სახელმძღვანელოებსა და კურიკულუმში გაწერილ სახელმძღვანელოებს შორის.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,ასევე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსი,რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - სასურველია,მუსიკის კურიკულუმებში დაწყებით და საბაზო საფეხურზე მაგალითები შედარებისთვის გაერთიანდეს ძირითად და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების გრაფაში.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია მათემატიკის სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია და სხვა, რაც დაადასტურეს პედაგოგებმაც გასაუბრების დროს და აღნიშნეს რომ გამოყენებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული თემების შესაბამისი სპორტული ინვენტარი, სასწავლო ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები საკმარისია მოსწავლეთა მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა - სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. ელექტრონული რესურსების ბმულები პერიოდულად შემოწმდეს, რამდენად გამართულად მუშაობს.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები მეტ-ნაკლებად იძლევა სწავლების დიფერენცირების შესაძლებლობას, იმ ფონზე რომ მასში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდ.სასწავლო გეგემები, რაც ერთ-ერთი წინაპირობა და ხელშემწყობი ფაქტორია სკოლაში სასწავლო პროცესის ინკლუზიურობის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინონ სტანდარტით მოცემული თემები, რათა თავიდან აირიდონ სასწავლო მასალის გართულება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. მოცემული კომპლექსური დავალებებით მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავისი უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს მზაობის შესაბამისად. დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ უცხო ენების პედაგოგებს გააჩნიათ კომპეტენცია და მზაობა დაგეგმონ დიფერენცირებული სასწავლო აქტივობები,თითოეული მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - სასურველია, სამივე საფეხურზე, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება, ტიპიური განვითარების მოსწავლეებისთვის ,(რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით**
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები სარგებლობენ დეტალურად შემუშავებულ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით .დაგეგმილი აქვთ მოსწავლის საჭიროებასა და ინტერესებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობები,რომლებიც მიემართებიან კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს და ნათლად ჩანს სასწავლო პროცესის დიფერცირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა და წარმოადგინეს კიდეც სახელმწიფო ენის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და უნარები მიხედვით. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები , რომლებიც იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას,

	რაც სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების კარგი წინაპირობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ და ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. შემოქმედებით დავალებებსაც მთი შესაძლებლობის ფარგლებში მოდიფიცირებას ვუკეთებთ და მათ უნარებზე და შესაძლებლობების მიხედვითა გათვლილი დავალების პირობა. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შეფასება, რითაც ვაწარმოებთ დაკვირვებას და გამოკითხვას, შესაბამისად ვაძლევთ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც მამოტივირებელია თითოეული მოსწავლისათვის. სპეცმასწავლებელთან ერთად, საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობით ვადგენთ ისგ-ას, შეფასების რუბრიკებს. ვგეგმათ დავამკვიდროთ სკოლაში და გავაძლიეროთ დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია**
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების ფორმები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსები. აგრეთვე სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები. ამასთან ერთად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები აქტიურად იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ, მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებზე მორგებულ აქტივობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები სარგებლობენ დეტალურად შემუშავებულ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით .დაგეგმილი აქვთ მოსწავლის საჭიროებასა და ინტერესებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობები,რომლებიც მიემართებიან კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს და ნათლად ჩანს სასწავლო პროცესის დიფერცირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, (ისგ და ალტერნატიული სასწავლო გეგმები), სადაც გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, გაწერილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. წარმოდგენილია ადაპტირებული დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა - სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული დავალებების შედეგენის დროს, სტანდარტით გათვალისწინებული თემები მკაფიოდ აისახოს.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით შეფასების რუბრიკებს. როგორც განმსაზღვრელს, ასევე განმავითარებელს. რუბრიკებში გათვალისწინებულია სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მტკიცებულების სახით დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეიქმნას სამივე საფეხურზე თემის ფარგლებში**
უცხოური ენები	სკოლას გადმოგზავნილი აქვს შეფასების რუბრიკების სხვადასხვა სახეობა. სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს სხვა საგნებში მოსწავლეთა შეფასების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების შექმნის და გამოყენების გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - სასურველია, სამივე საფეხურზე, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები** **სასწავლო პროცესში წინასწარ დაიგეგმოს განმავითარებელი შეფასება,რომელიცმიუთითენს არა მხოლოდ შეცდომაზე,არამედ გაუმჯობესების გზებზე.** **გაკვეთილს პროცესში გამოიყენონ სხვადასხვა შეფასების ფორმა: თვითშეფასება,თანატოლთაშეფასება,რუბრიკები,ჩეკლისტები.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,რომლებიც გაწერილია თითოეულ თემასა და სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალებების შეფასების კრიტერიუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღვწერთ, მოსწავლეთა განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებით საგნობრივი სტანდარტის შედეგის მიღწევის დონეს, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების პროცესში გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შექმნან მოსწავლის შეფასებისა და თვითშფასების რუბრიკებს, რომელიც შესაბამისი იქნება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, პედაგოგები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერ

	კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების და ორგანიზებულობის, თვითკონტროლის განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - სასურველია,კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ტექნოლოგიების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასება სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (პროგრამირება, , ციკლის ცნება, …). ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა.** **ასევე, გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

	სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა - სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
- *კათედრის ოქმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ამსახველი მასალა კათედრის სამოქმედო გეგმა/ოქმები*
- *სასწავლო პროექტები. ფორმალური/არაფორმალური*
- *კოლეგათა შორის ურთიერთდასწრება*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები/მასწავლებლის რეფლექსია/ გაცემული უკუკავშირები./მოსწავლის ბარათები*
- *მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმების საფუძველზე. აღნიშნული დასტურდება ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის (საგნობრივი კათედრების ოქმები) ანალიზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად,საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი და საინტერესო კომპლექსური დავალებები,რომელიც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები,მასწავლებელთა გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის ასევე მათი სამომავლო ხედვა,ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების ,როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.მასწავლებლებმა გასაუბრების შედეგად აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესში ვერ განხორციელდა ყველა დაგეგმილი კომპლექსური დავალება, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების გამო, კათედრაზე იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში,საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება. რაც საგნობრივი პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	შესწავლილი დოკუმენტების და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზის მიხედვით, სწავლების სამივე საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო, საშუალო), სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის საინეტერსო, შემეცნებითი თეორიული და პრაქტიკული აქტივობებით, სწავლების პროცესში შეთავაზებული არის მრავალფეროვანი, ვიზუალური და მოსასმენი მასალა, რაც მოსწავლეს ეხმარება განვითარების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე,რომ სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება ხდება მრავალფეროვანი თემებისა და საკითხების ჭრილში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში ცვლილებების შეტანაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენებით და ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები, შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა და განხორციელების ვალდებულება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი კურიკულუმებში, იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობას ანალოგიური პრინციპებით და მიდგომებით დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმები და მის შესამაბისად სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ თემებში გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და საკითხებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა უზრუნველყოფს სკოლამ მოქნილად უპასუხოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ სხვადასხვა საჭიროებას. სკოლის შინაგანაწესით დადგენილია მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ადმინისტრაციის ინფორმირების წესი, აღნიშნული მექანიზმი საშუალებას იძლევა სკოლამ სწრაფად მოახდინოს რეაგირება და თავიდან აიცილოს სასწავლო პროცესის შეფერხება. სკოლას ასევე აქვს სასწავლო პროცესში შემცვლელი მასწავლებლის გამოყენების პრქტიკა.

სკოლაში სასწავლო წელი დაგეგმილია წინასწარ განსაზღვრული საგანმანათლებლო აქტივობების შესაბამისად. საგნობრივი კათედრები გეგმავენ შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარების რაოდენობას და დროს, ასევე განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესიც ეფუძნება სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების ანალიზს. მასწავლებლები და კათედრები სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის და გამოვლენილი პროფესიული საჭიროებების საფუძველზე განსაზღვრავენ გაუმჯობესების მიმართულებებს და გეგმავენ

შესაბამის ცვლილებებს. დირექცია სისტემატურად ესწრება და აფასებს საგაკვეთილო პროცესს, რაც ეხმარება თანამშრომელთათვის რეკომენდაციების შემუშავებასა და მართვის პროცესების დაგეგმვაში.

აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სკოლა დროულად რეაგირებდეს შემხვედრ საჭიროებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები. გასაუბრებით ირკვევა, რომ საკოლში მოსწავლეები იცნობენ აღნიშნულ რუბრიკებს. მასწავლებლებისთვის შეფასების საგანია ის ძირითადი საკითხები რაც ისწავლება და შესაბამისად საგნის სტანდარტითაა გათვალისწინებული.მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება წინასწარ შედეგნილ რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - უმჯობესია რუბრიკაში კიდევ უფრო დეტალურად იყოს ქულების გრადაცია მოცემული (1დან -10 ქულამდე) და კრიტერიუმები იყოს მკაფიოდა ჩამოყალიბებეული. ასევე უმჯობესია თუ კათედრაზე იქნება შემუშავებული ერთნაირი დიზაინის/სტრუქტურის რუბრიკები.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით(შეფასების რუბრიკების ნიმუშები), კათედრამ შეიმუშავა ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, როგორი სახის შეფასების რუბრიკა უნდა შექმნან თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა - კათედრის წევრებმა, სამივე საფეხურისთვის უნდა შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება.**
უცხოური ენები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ გამსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს. კათედრის წევრებთან წარმართულმა ინტერვიუმ ცხადყო თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას, ზეპირი უკუკავშირის გაცემას, რომელიც მოსწავლის განვითარების გზის მაჩვენებელია. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის,გამჭირვალობის,სანდოობის,ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულიარჩევა - სასურველია,სამივე საფეხურზე, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების-ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე.შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში და გასაუბრებისას გამოიკვეთა ,თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხორციელდება კათედრაზე მოსწავლეთა შეფასება.სკოლამ წარმოადგინა სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები,სადაც მკაფიოდ იკვეთება საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ვალიდულია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე, ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და დასტურდება კიდეც წარმოდგენილი რუბრიკებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რა კრიტერიუმებითა და რომელ კომპონენტებზე (გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, შედეგები) დაყრდნობით ფასდებიან მოსწავლეები. შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესზე სისტემური დაკვირვებისა და სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული აქტივობების საფუძველზე. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ ფესტივალებზე მათი შედეგების შეფასების კრიტერიუმებიც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების

	რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი.ყველა მოსწავლე ფასდება თანაბარ პირობებში. ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში დანერგილია შემუშავებულია დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის მიზნებს, პროცედურებსა და მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობებს. ვერიფიკაცია მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას. დოკუმენტი ითვალისწინებს რის-ფაქტორებს და განსაზღვრავს ვერიფიკაციაზე მომუშავე ჯგუფის წევრებს. ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, რეკომენდაციების შემუშავებას და რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენას.

სკოლა უზრუნველყოფს თითოეული საფეხურის მოსწავლის პროგრესის შეფასებას სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან და ობიექტურ პრინციპებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კანონის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც სასკოლო სასწავლო გეგმაშია ასახული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სასწავლო პორცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები.*
- *განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასებები*
- *კათედრის სამოქმეო გეგმა/ოქმები*
- *სასწავლო პროექტები. ფორმალური/არაფორმალური*
- *კოლეგათა შორის ურთიერთდასწრება*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *სკოლის შინაგანაწესი*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები/მასწავლებლის რეფლექსია/ გაცემული უკუკავშირები./მოსწავლის ბარათები*
- *მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *კათედრის სხდომის ოქმი კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების თაობაზე;*
- *ისგ ჯგუფის ოქმები*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მატერიალური რესურსის სახით კი რუკებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებას მასწავლებლები თვითონ უზრუნველყოფენ. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ რესურსებს იყენებენ გეგმიურად და განსაზღვრავენ, რომელ ეტაპზე და როგორ გამოიყენოს თითოეული რესურსი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმები აჩვენებს რომ სწავლა ეფუძვნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მათ თანდართულ რესურსებს. (სამუშაო რვეული,ფლეშქარდები,პოსტერები, ონლაინ რესურსები) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციიდან ჩანს,რომ კათედრა სამივე საფეხურზე, გარდა ძირითადი რესურსებისა,აქტიურად იყენებს დამატებით რესურსებს,მაგ. რეპროდუქციები ,აუდიო და ვიზუალური მასალა,რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, მოდელები. რავალფეროვანი ლიტერატურის აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლები იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით მატერიალურ, აუდიო და ვიდეო რესურსებს. სკოლაში ხდება რესურსების იდენტიფიცირება და ეფექტურად გამოყენება, რომელიც ემსახურება სწავლისა და

	სწავლების ხარისხის პოზიტიურ მიღწევებს. რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის ოქმში დანართის სახით არის მოცემული დამატებითი რესურსების ჩამონათვალი, რაც განხილული და შეთანხმებული იქნა კათედრაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლიდა ,რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას,რადგან ის მნიშველოვანია მოსწავლეთა დაცვისთვის ,რომ არ მიიღოს გადაუმოწმებელი არასწორი ინფორმაცია ,აღნიშნეს, რომ რესურსი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგნის კონკრეტულ თემატიკას ,ასაკობრივ დონეს და პროგრამას,ასევე სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური.**

უცხოური ენები	უცხო ენების მასწავლებლებთან გასაუბრებისას, მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათერდრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. ამდენად, სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შეფასება და ვალიდაცია ხორციელდება ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე განხილვის შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული რესურსების, მათ შორის სპორტული ინვენტარის, შეფასება და ვალიდაცია ხორციელდება შესაბამის კათედრასთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ვალიდაციის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს რესურსების მრავალმხრივ შეფასებას, ხარისხის კონტროლსა და გამოყენების მიზნობრიობას. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ზრდის რესურსების სანდოობას და ეფექტიანობას სასწავლო პროცესში. ამასთან, პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ახდენენ რესურსების ადაპტირებას კონკრეტული კლასის ან მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლა კურიკულუმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს არსებული მწირი მატერიალური ბაზის გამოყენებით - სკოლას აქვს მწირი ლაბორატორიული რესურსი. **არ აქვს ამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირით დაფარული სამუშაო მაგიდა. მიკროსკოპები არ არის მუშა მდგომარეობაში. აღნიშნული ხელს უშლის სრულყოფილად განხორციელდეს კურიკულუმით გათვალისწინებული და**

	დაგეგემილი სწავლების პროცესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საბაზო და საშუალო საფეხურზე. **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას.** **შესრულების ვადა - 05.2027** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად (საბაზო და საშუალო საფეხურზე)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები, რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაში გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები,

	მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში არსებული გარე სპორტული მოედანი, სპორტ დარბაზი, სპორტული ინვენტარი და ტექნიკური რესურსები (კომპიუტერები) საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

	რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. ყველა მასწავლებელს დადასტურებული აქვს იმ საგნის კომპეტენცია, რომელსაც ასწავლის. სკოლაში დასაქმებულია 1 მენტორი და 4 წამყვანი მასწავლებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამივე საფეხურისკურიკულუმები.*
- *შეფასების რუბრიკები.*
- *განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასებები*
- *კათედრის სამოქმეო გეგმა/ოქმები*
- *სასწავლო პროექტები. ფორმალური/არაფორმალური*
- *კოლეგათა შორის ურთიერთდასწრება*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები/მასწავლებლის რეფლექსია/ გაცემული უკუკავშირები./მოსწავლის ბარათები*
- *მასწავლებელთა პირადი საქმეები/ესქულის ბაზა*

- *მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით – „სსიპ ქ. თბილისის N30 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების ფორმები, პასუხისმგებელი პირები და პროცესის ეტაპები.

მონიტორინგის პროცესში ჩართული არიან როგორც მასწავლებლები და საგნობრივი კათედრები, ისე სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის კათედრის დებულების მიხედვით, პედაგოგები ინდივიდუალურად და კათედრების დონეზე ახორციელებენ კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების, მიღებული შედეგების ანალიზს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ ცვლილებებს.
პროცესში ჩართულია დირექცია რომელიც სწავლობს კათედრების ანგარიშს და აკვირდება/აფასებს პროცესს.

რჩევა - სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მიზანია არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის ანალიზი, არამედ გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები განიხილება საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე, სადაც ხდება სწავლა-სწავლების პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა.

კათედრები მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესში შესაბამის ცვლილებებს, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების ან სასწავლო აქტივობების დახვეწას და საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმის გადახედვას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.
მონიტორინგის პროცესი მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას. ამ პროცესში ასევე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც კათედრების ანგარიშებისა და გაკვეთილებზე დაკვირვების საფუძველზე აანალიზებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებას და პრობლემების გადაჭრას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიწოდების, გამოცდილების გაზიარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

საგნობრივი კათედრების ფარგლებში მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას, განიხილავენ სასწავლო პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებს და ერთობლივად გეგმავენ მათი გადაჭრის გზებს. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული მხარდაჭერის გარემოს ჩამოყალიბებას. კათედრის ხელმძღვანელები ფასილიტაციას უწევენ პროცესს და არიან შუამავალი რგოლი დირექციასა და მასწავლებლებს შორის.

სკოლის ადმინისტრაცია მონიტორინგის პროცესში აქტიურად არის ჩართული როგორც გაკვეთილებზე დაკვირვების, ისე ანგარიშების გაცნობისა და მასწავლებლების საქმიანობის მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული რეკომენდაციების შემუშავების კუთხით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა*
- *სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი N3*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება*

- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 8 (სასწავლო პროცესის ანგარიში)*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი 1 (1 სემესტრის შეჯამება)*
- *მასწავლებლის შეფასება*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა*
- *სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი N3*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N3*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს. სკოლის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია, რომ მოსწავლის ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ძირითად წყაროებს წარმოადგენს საკლასო აქტივობები, საშინაო დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოები. რაც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის ცოდნის საბოლოო შედეგის შეფასებას, ისე სწავლის პროცესში მისი პროგრესის შეფასებას და მხარდაჭერას.

შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში, მათ შორის შიდასასკოლო და არაფორმალური განათლების პროექტებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი განხორციელებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით და მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა საქმიანობას.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მათ მონაწილეობას პროექტებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებსა და ინიციატივებში. სკოლაში ხშირად ხორციელდება შიდასასკოლო ღონისძიებები, აქტიურად მუშაობს სასკოლო კლუბები. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენას, რაც ასევე განიხილება შეფასების პროცესში.

მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც აკადემიურ მიღწევებს, ასევე მოსწავლეთა პროგრესს, ჩართულობას, მოტივაციასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში გამოვლენილ უნარებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის სრულყოფილ ანალიზს. აღნიშნული მეთოდები მოიცავს წერით დავალებებს, საკლასო მუშაობაზე დაკვირვებას, შემაჯამებელ დავალებებსა და სხვადასხვა ტიპის სასწავლო აქტივობებს.

შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა და მათი გამოყენება ხორციელდება საგნობრივი კათედრების მიერ. კათედრების შეხვედრებზე განიხილება შეფასების ინსტრუმენტები, მათი ეფექტიანობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან. საჭიროების შემთხვევაში კათედრები ახდენენ აღნიშნული ინსტრუმენტების დახვეწასა და გაუმჯობესებას.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესს ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის და მიღებული შედეგების გადამოწმებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებას და მიზნად ისახავს მოსწავლის აკადემიური პროგრესისა და განვითარების მრავალმხრივ შეფასებას. სკოლის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შეფასების სისტემას.

მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც მათი აკადემიური შედეგები, ასევე სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი პროგრესი. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც მიღწეული შედეგი, ისე მოსწავლის განვითარება.

შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სანდოობასა და ობიექტურობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლაში კურიკულუმის განვითარების პროცესის ნაწილია მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა და გათვალსიწინება.

კურიკულუმის შეფასება მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალური მასწავლებლების, ისე საგნობრივი კათედრების დონეზე. პროცესს ფასილიტაციას უწევს კათედრის ხელმძღვანელი - ის უშუალოდ ჩართულია პროცესში და ევალება ანგარიშის მომზადება არსებულ სიტუაციასთან და გამოწვევებთან დაკავშირებით.

დირექტორის მოადგილე სწავლობს და კოორდინაციას უწევს მიმდინარე პროოცესს. დირექცია აკვირდება გაკვეთილების განხორციელებას და აფასებს კურიკულუმის ეფექტურობას. აღნიშნული ზედამხედველობა საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს სუსტი მხარეები, დაიგეგმოს მხარდაჭერის საჭიროებები და უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის ხარისხიანი, მიზნობრივი განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლის წინარე გამოცდილების მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის გადამუშავება.

გადამუშავებული კურიკულუმის შექმნა ხორციელდება მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომით: მასწავლებლები და საგნობრივი კათედრები აფასებენ კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტებს, ატარებენ თვითშეფასებას, განიხილავენ გაკვეთილების ეფექტიანობას და სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს უკუკავშირს, სწავლობს კათედრების ანგარიშებს და აკონტროლებს კურიკულუმის განხორციელების ხარისხს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 8 (სასწავლო პროცესის ანგარიში)*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი 1 (1 სემესტრის შეჯამება)*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 01.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: